



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

„---24---“-----03-----“ 2017 წელი

ეგზ. N1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N17/36

2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	12
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე	12
აუდიტორის პასუხისმგებლობა	12
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	13
პირობითი მოსაზრება	17
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	18
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.....	25

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“) სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მისი დებულების საფუძველზე.

სამინისტრო მოწოდებულია, საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ეს გარემო ეფუძნება არჩევანის თავისუფლებისა და თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისთვისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის

სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

სამინისტროს საბიუჯეტო კოდია 32 00.

სამინისტროს მიერ 2015 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით, მომზადებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წლიური ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგებების მიხედვით. მოდიფიცირებული საკასო მეთოდი ითვალისწინებს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად.

კონსოლიდაციას ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების ჩანაწერების მიხედვით. სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი საბიუჯეტო ორგანიზაციების და პროგრამების ფინანსურ ანგარიშგებებს:

ინფორმაცია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ღონისძიებების და მათ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ

ცხრილი 1

ათას ლარებში

2015 წლის დაზუსტებული გეგმა (ათას ლარებში)											
ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ჯამი დაფინანსებიდან წყაროებიდან	საბიუჯეტო სახსრების, სარეზერვო ფონდების და გრანტების ჯამი	საბიუჯეტო სახსრები სარეზერვო ფონდების ჯამი	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	მთავრობის სარეზერვო ფონდი	გრანტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი სახსრები	განმკარგავი
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,177,062	837,828	795,928	794,078	738	1,112	41,900	11,518	327,716	
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	20,608	17,266	17,266	16,215	-	1,051	-	435	2,907	
32 01 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება	9,694	9,279	9,279	8,227	-	1,051	-	415	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 01 02	განათლების სფეროში სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა	4,875	4,875	4,875	4,875	-	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები
32 01 03	განათლების ხარისხის განვითარება და მართვა	6,040	3,113	3,113	3,113	-	-	-	20	2,907	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
32 02	ზოგადი განათლება	487,201	486,452	486,452	486,418	-	33	-	314	436	

32 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება	429,788	429,788	429,788	429,788	-	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 02	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	13,683	13,215	13,215	13,215	-	-	-	314	154	
32 02 02 01	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი	1,630	1,477	1,477	1,477	-	-	-	-	154	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
32 02 02 02	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამები	12,052	11,738	11,738	11,738	-	-	-	314	-	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
32 02 03	უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა	11,552	11,270	11,270	11,270	-	-	-		282	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
32 02 04	წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება	743	743	743	743	-	-	-		-	
32 02 04 01	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	227	227	227	227	-	-	-		-	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
32 02 04 02	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	219	219	219	219	-	-	-		-	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
32 02 04 03	წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	297	297	297	297	-	-	-		-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 05	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება	4,564	4,564	4,564	4,564	-	-	-		-	
32 02 05 01	ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა	1,299	1,299	1,299	1,299	-	-	-		-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 05 02	განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა	3,266	3,266	3,266	3,266	-	-	-		-	
32 02 05 02 01	სსიპ – ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლა	698	698	698	698	-	-	-		-	სსიპ - ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლა

32 02 05 02 02	სსიპ – ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა	248	248	248	248	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა
32 02 05 02 03	სსიპ – ქალაქ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა	276	276	276	276	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა
32 02 05 02 04	სსიპ – ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა	304	304	304	304	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა
32 02 05 02 05	სსიპ – ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლა	586	586	586	586	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლა
32 02 05 02 06	სსიპ – ქალაქ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა	280	280	280	280	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა
32 02 05 02 07	სსიპ – ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა	266	266	266	266	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ სამტრედიის №15 სკოლა
32 02 05 02 08	სსიპ – ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა	390	390	390	390	-	-	-	-	სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა
32 02 05 02 09	სსიპ – ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა	217	217	217	217	-	-	-	-	სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა
32 02 06	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	5,748	5,748	5,748	5,748	-	-	-	-	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
32 02 07	საზაფხულო სკოლები	809	809	809	809	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 08	ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება	2,345	2,345	2,345	2,345	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 09	ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	309	309	309	309	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 10	ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	134	134	134	134	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 02 11	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	16,958	16,958	16,958	16,958	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

32 02 12	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	568	568	568	535	-	33	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 03	პროფესიული განათლება	53,390	31,180	31,180	31,180	-	-	-	188	22,022	
32 03 01	პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება	39,241	21,962	21,962	21,962	-	-	-	158	17,122	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 03 02	ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება	1,963	1,860	1,860	1,860	-	-	-		103	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
32 03 03	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	12,186	7,358	7,358	7,358	-	-	-	30	4,797	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	465,321	153,044	153,044	152,278	738	28	-	9,926	302,351	
32 04 01	გამოცდების ორგანიზება	17,092	12,028	12,028	12,028	-	-	-	275	4,790	
32 04 01 01	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი	9,086	4,296	4,296	4,296	-	-	-		4,790	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
32 04 01 02	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროგრამები	8,006	7,731	7,731	7,731	-	-	-	275	-	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
32 04 02	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	65,750	57,932	57,932	57,932	-	-	-	2,636	5,182	
32 04 02 01	სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	31,076	28,683	28,683	28,683	-	-	-	2,393	-	
32 04 02 01 01	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი	1,223	1,223	1,223	1,223	-	-	-		-	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
32 04 02 01 02	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამები და გრანტები	27,459	27,459	27,459	27,459	-	-	-		-	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
32 04 02 02	სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები	8,188	3,324	3,324	3,324	-	-	-	243	4,622	
32 04 02 02 01	სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი	2,274	1,406	1,406	1,406	-	-	-	25	844	სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი

32 04 02 02 02	სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	2,694	1,303	1,303	1,303	-	-	-	1,391	სსიპ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
32 04 02 02 03	სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	3,220	615	615	615	-	-	-	218	სსიპ - გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი
32 04 02 03	მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა	4,273	3,924	3,924	3,924	-	-	-	350	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
32 04 02 04	სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა	1,240	1,030	1,030	1,030	-	-	-	210	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
32 04 02 05	მეცნიერების აღდგენა და განვითარება	20,972	20,972	20,972	20,972	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 04 03	სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება	82,161	82,161	82,161	82,153	8	-	-	-	
32 04 03 01	სახელმწიფო სასწავლო გრანტი	70,084	70,084	70,084	70,084	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 04 03 02	სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი	4,716	4,716	4,716	4,716	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 04 03 03	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	3,998	3,998	3,998	3,990	8	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 04 03 04	პროგრამა „ცოდნის კარი“	1,163	1,163	1,163	1,163	-	-	-	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 04 04	უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვებითი პროექტების ხელშეწყობა	7,181	166	166	166	-	-	-	7,015	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
32 05	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	103,725	103,070	103,070	103,070	-	-	-	655	
32 05 01	საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	23,133	23,133	23,133	23,133	-	-	-	-	
32 05 01 01	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	1,796	1,796	1,796	1,796	-	-	-	-	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

32 05 01 02	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	5,128	5,128	5,128	5,128	-	-	-	-	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
32 05 01 03	პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“	16,209	16,209	16,209	16,209	-	-	-	-	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
32 05 02	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	80,593	79,938	79,938	79,938	-	-	-	655	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
32 05 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	56,235	56,235	56,235	56,235	-	-	-	-	
32 05 02 02	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	13,596	12,941	12,941	12,941	-	-	-	655	
32 05 02 03	უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	10,745	10,745	10,745	10,745	-	-	-	-	
32 05 02 04	სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება	16	16	16	16	-	-	-	-	სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA - GEORGIA)
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	46,817	46,817	4,917	4,917	-	-	41,900	-	

ბიუჯეტი

სამინისტროს 2015 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

ცხრილი 2

(ათას ლარებში)						
დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	რესურსი	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7
საბიუჯეტო სახსრები, სარეზერვო ფონდები და გრანტები	840,800	837,828	828,794	9,034	824,658	824,658
ხარჯები	785,780	786,810	778,746	8,065	776,378	776,378
არაფინანსური აქტივების ზრდა	55,020	50,857	49,832	1,026	48,064	48,064
ვალდებულებების კლება	-	160	217	(56)	215	215
საკუთარი სახსრები	-	327,716	274,907	52,809	265,473	265,473
ხარჯები	-	274,145	244,611	29,535	235,627	235,627
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	52,557	29,389	23,168	28,941	28,941
ვალდებულებების კლება	-	1,014	908	107	905	905

სამინისტროს 2015 წლის დაზუსტებულმა გეგმამ სახელმწიფო ბიუჯეტით – შეადგინა 837,827.99 ათასი ლარი, მათ შორის ხარჯების მუხლი 786,810.39 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 50,857.13 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 160.47 ათასი ლარი. ეკონომიკური საქმიანობიდან დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 327,715.93 ათასი ლარი, მათ შორის ხარჯების მუხლი 274,145.09 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 52,556.50 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 1,014.34 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაზუსტებულმა გეგმამ ჯამურად (5 საჯარო სკოლა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შეადგინა 703.11 ათასი ლარი, მათ შორის ხარჯები 685.41 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა 17.70 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილმა ვალდებულებებმა ბიუჯეტით ჯამურად შეადგინა 828,805.54 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98,92% -ია. სახაზინო სამსახურში სისტემის მიერ მოთხოვნები ბიუჯეტით წარდგენილია ჯამურად 824,657.64 ათას ლარზე. ხოლო ეკონომიკური საქმიანობით სახაზინო სამსახურში წარდგენილმა ვალდებულებებმა ჯამურად შეადგინა 276,037.70 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 84,23% -ია. სახაზინო სამსახურში სამინისტროს მიერ მოთხოვნები ეკონომიკური საქმიანობიდან წარდგენილია ჯამურად 265,473.21 ათას ლარზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის წარდგენილმა ვალდებულებებმა სულ შეადგინა 2,379.42 ათასი ლარი, მ.შ ხარჯების მუხლით 2,264.02 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 115.40 ათასი ლარი. სახაზინო სამსახურში

სამინისტროს მიერ მოთხოვნები წარდგენილია 2,363.70 ათას ლარზე, მ.შ ხარჯების მუხლით 2,249.12 ათას ლარზე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 114,576.35 ათას ლარზე.

ცხრილი 3

(ათას ლარებში)

სახელმწიფო ბიუჯეტი	ხაზინა		აჭარის ავტ.რესპ დაფინანსება		ფინანსური ანგარიშით	
	ხარჯები	არაფინანსური	ხარჯები	არაფინანსური	ხარჯები	არაფინანსური
დაზუსტებული გეგმა	786,810	50,857	685	18	787,496	50,875
ვალდებულება	778,757	49,832	2,264	115	781,021	49,947
საკასო ხარჯები	776,378	48,064	2,249	115	778,627	48,179

ცხრილი 4

(ათას ლარებში)

ეკონომიკური საქმიანობა	ხაზინა		კომერციული ბანკი		ფინანსური ანგარიშით	
	ხარჯები	არაფინანსური	ხარჯები	არაფინანსური	ხარჯები	არაფინანსური
დაზუსტებული გეგმა	274,145	52,557	0	0	274,145	52,557
ვალდებულება	245,386	29,744	0	0	245,386	29,744
საკასო ხარჯები	235,627	28,941	445,185	9,757	680,812	38,698

ცხრილი 5

(ათას ლარებში)

კომერციულ ბანკში კონტროლს დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს საკასო ოპერაციები და შესაბამისად გაზრდილია აღნიშნული თანხებით ხაზინაში დაფიქსირებული საკასო ხარჯები ეკონომიკური საქმიანობიდან	32 02 01	444,335	9,757
	32 04 01	848	0
	32 01 03	1	0
	32 04 05 02	1	0
	32 03 03	0	0
		445,185	9,757

დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა ათას ლარებში მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 6

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2015 წლის საკასო ხარჯი	სხვაობა
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	837,828	824,658	13,170
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	17,266	17,304	-38
32 02	ზოგადი განათლება	486,452	485,044	1,408
32 03	პროფესიული განათლება	31,180	31,000	179
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	153,044	158,095	-5,051
32 05	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	103,070	99,364	3,706
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	46,817	33,850	12,966

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, დანართები 1-11.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

1. სამინისტროს მიერ არ არის დადგენილი (შერჩეული) ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რის შედეგადაც იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა კონტროლდაქვემდებარებული ერთეულები(სსიპ)ანალოგიური ოპერაციების და მოვლენებისათვის იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხორციელდება შესაბამისი კორექტირებები. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი გარემოება:

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში „ინფრასტრუქტურის სააგენტო“) პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების“ ფარგლებში სამინისტროს კონტროლდაქვემდებარებული ორგანიზაციების მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები მეორე მხარესთან არ არის აღრიცხული, როგორც კრედიტორულ დავალიანებები:

საჯარო სკოლების მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება - 11,259.3 ათასი ლარი
საჯარო სკოლების მიერ არაა აღრიცხული კრედიტორულ დავალიანებაში;

უნივერსიტეტების მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება - 22,148.18 ათასი ლარიდან
უნივერსიტეტებს მხოლოდ 12,985,62 ათასი ლარი აქვთ აღიარებული კრედიტორულ დავალიანებაში, სხვაობა შეადგენს - 9,694,66 ათას ლარს;

პროფესიული განათლების კოლეჯების მიმართ დებიტორული დავალიანება 7,554.91 ათასი ლარი,
პროფესიულ კოლეჯებს მხოლოდ 4,511.31 ათასი ლარი, აღიარებული აქვთ კრედიტორულ დავალიანებაში, სხვაობა შეადგენს 3,053.59 ათას ლარს.

სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მთლიანი დებიტორული დავალიანებიდან 14,723.83 ათასი ლარი მოდის სასწავლო უნივერსიტეტებსა და საჯარო სკოლებზე, რომელთაც კრედიტორულ დავალიანებაში აღრიცხულია მხოლოდ 2,648.06 ათასი ლარი, სხვაობა შეადგენს - 12,075.77 ათას ლარს.

განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების გამო არ იყო შექმნილი კონსოლიდაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპის² განხორციელების საფუძველი და ამის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის მითითება გაკეთებული.

2. კონსოლიდირებულ ბალანსზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიხედვით ირიცხება 10,689.5 ათასი ლარი საწყისი (ისტორიული) ღირებულების სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული)

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 17, პუნქტი 29 “კონსოლიდაციის დროს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული ოპერაციები (ა) გაყიდვებიდან და ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლების, (ბ) ასიგნებების ან სხვა საბიუჯეტო უფლებამოსილების შედეგად აღიარებული შემოსავლების, (გ) ხარჯების და (დ) დივიდენდების ან განაწილების მსგავსი ფორმების ჩათვლით მთლიანად გამოირიცხება”

ძირითადი აქტივები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე უნდა აღრიცხულიყო³ საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08)

3. კონსოლიდირებულ ბალანსზე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს მიხედვით, ირიცხება 14,510.6 ათასი ლარის ღირებულების პროფილური, საცხოვრებელი ან/და დამხმარე ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ გამოიყენება ორგანიზაციის მიერ. აქედან: 3,227.6 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ქონება ფიზიკურად ამორტიზებულია, 6,729.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ქონება დაუტვირთავია ადმინისტრაციის მიერ და 4,553.7 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ქონება დაკავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების და სხვა პირების მიერ. ვინაიდან არ არის მოსალოდნელი მოცემული უძრავი ქონების მიხედვით ორგანიზაციებში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ისინი არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს⁴.

გავლენა: არაფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთი გაზრდილია 14,510.6 ათასი ლარით. დაახლოებით 150.0 ათასი ლარის ოდენობით გაზრდილია ცვეთის ხარჯი „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, რამაც ამავე ოდენობით, გამოიწვია საბალანსე ანგარიშის „წმინდა ღირებულება“ ნაშთის შემცირება.

4. კონსოლიდირებულ ბალანსზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიხედვით, 1,300.0 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, ასახულია როგორც არამატერიალური ძირითადი აქტივი. აღნიშნული აქტივები წარმოადგენენ ძირითადი აქტივების „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“-ს ქვეჯგუფს.

გავლენა: ფინანსური ანგარიშგების დანართ #1-ში „ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ“ 1,300.0 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი „არამატერიალური ძირითადი აქტივების“ მუხლი და ამავე თანხით შემცირებულია „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ მუხლი. მოცემული აქტივების მიხედვით ანალიზური და სინთეზური სააღრიცხვო ჩანაწერების ინსტრუქციის მოთხოვნებთან⁵ შეუსაბამობის გამო ვერ დგინდება აღნიშნული უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბალანსზე სახელშეკრულებო უფლებით წარმოშობილი არამატერიალური აქტივის (2014 წლის 28 მაისის #08/44 ხელშეკრულება საგანმანათლებლო ელექტრონულ ვებ-გვერდებზე დაშვებაზე და წვდომა მსოფლიოს წამყვან

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 47, პუნქტი 9.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 2 - ლ).

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 35.

ელექტრონულ საბიბლიოთეკო ფონდთან; სახელშეკრულებო ღირებულება 447,414.76 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (1,081.76 ათასი ლარი); ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 28/05/2014 – 31/12/2016) აღიარება ხდებოდა გადახდების (12 გადახდა) პროპორციულად, საკასო მეთოდით, რითაც დაირღვა ინსტრუქციის⁶ მოთხოვნები.

გავლენა: შემცირებულია ფინანსური ვალდებულებები 474.58 ათასი ლარით, გაზრდილია ძირითადი აქტივები 325.37 ათასი ლარით; ამასთან, შემცირებულია საანგარიშგებო წლის ცვეთის ხარჯი „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 332.67 ათასი ლარით და 799.95 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი კაპიტალში აქტივების წმინდა ღირებულება.

6. შერჩეულ ორგანიზაციებში (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი) 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულმა ინვენტარიზაციამ არ მოიცვა სრულად ქონება, მოთხოვნები და ვალდებულებები. ინვენტარიზაციების უმეტესობა ორგანიზაციებში დაიწყო აუდიტის დაწყებამდე და შესაბამისად აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრება. აუდიტის პროცესში დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგები არ იყო გამოყვანილი. ინვენტარიზაციის პროცესში ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით არ არის განხორციელებული მატერიალური ფასეულობების ფაქტიური აღწერა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა ინვენტარიზაციის შედეგების გავლენა არაფინანსური აქტივებისა ნაშთებზე.

7. ცვეთის დაანგარიშებისას დაშვებულია რიგი უზუსტობები კერძოდ: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიხედვით, ნორმები, რომლის მიხედვითაც ძირითად აქტივებზე განისაზღვრა ცვეთის ხარჯი არ შეესაბამება ინსტრუქციით⁷ განსაზღვრულ ცვეთის ნორმებს. ამასთან, ცვეთის დაანგარიშებისას დაირღვა ზემოთაღნიშნული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მოთხოვნები და ცვეთა ერიცხებოდა აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას.

გავლენა: „ძირითადი კაპიტალი მოხმარება“ შემცირებულია 4.7 ათასი ლარით.

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიხედვით, არამატერიალურ აქტივებზე ცვეთა არ იყო დარიცხული, რამაც გამოიწვია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ შემცირება 7.05 ათასი ლარით. ასევე, 56 ერთეულ შენობა-ნაგებობაზე ცვეთა ერიცხებოდა ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე, ნაცვლად თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულებისა.

გავლენა: მხოლოდ მოცემული საინვენტარო ერთეულების მიხედვით „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ შემცირებულია 24.807 ათასი ლარით და შესაბამისად ამავე თანხით გაზრდილია ძირითადი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 34, პუნქტი 6.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N 439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია

8. ორგანიზაციების უმრავლესობას, რომელთაც 2015 წლის საანგარიშო პერიოდისათვის სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან გაფორმებული ჰქონდათ საიჯარო ხელშეკრულებები, გააჩნიათ საქმიანობის ანალოგიური პროფილი ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და ინფექციური იმუნოლოგიის დარგის მიმართულებით (შპს "ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები", შპს "ელიავას საერთაშორისო ფაგოთერაპიული ცენტრი", შპს "ბაქტერიოფაგის ანალიტიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრი დიაგნოზი-90", შპს ელიავას ბაქტერიოლოგიური არეების წარმოება). მანქანა-დანადგარების ადგილზე შერჩევითი დათვალიერებით დადგინა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ინსტიტუტის საწარმოო მანქანა დანადგარებით მოიჯარეების მიერ, სამართლებრივი უფლების გარეშე სარგებლობას. გარდა ამისა, ხელშეკრულების შესაბამისად შპს „ნიუფასადს“ იჯარით, დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შენობა-ნაგებობა N39/2(საკადასტრო კოდი 01.10.13.003.010)-ში არსებული 310 კვ.მ. ფართი. წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად, შენობა-ნაგებობა N39/2 საერთო ფართი შეადგენს 990,32 კვ.მ -ს., რომელსაც სრულად იყენებს მოიჯარე. შესაბამისად შპს „ნიუფასადი“-ს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული აქვს 680.32 კვ.მ ფართი. აღნიშნულ საწარმოსათან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით გაანგარიშებული 1 კვ.მ-ის ქირის საფასურის მიხედვით 680.32 კვ.მ ფართზე წლის განმავლობაში მიუღებელმა შემოსავალმა სავარაუდოდ შეადგენა 21.0 ათას ლარი.
9. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის“ სააღრიცხვო მონაცემებში 40 შტატიანი მოსამსახურის შრომის ანაზღაურება აღრიცხულია, როგორც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (177.9 ათასი ლარი) და 42 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, როგორც თანამდებობრივი სარგო (132,3 ათასი ლარი). ამ უზუსტობამ გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტზე ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში: მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი შემცირებულია 45.6 ათასი ლარით და ამავე თანხით გაიზარდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლი.
10. სამინისტროს კონტროლირებად დაწესებულებებში (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,) 2015 წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან, კერძოდ საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე გაწეული ხარჯი არასრულად არის აღრიცხული დამქირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლით და უდიდესი ნაწილი გატარებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, კონკრეტულად, 2015 წლის განმავლობაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში დამქირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან, კერძოდ საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე გაწეულია 2.7 ათასი ლარის ოდენობის ხარჯი. დამატებით 22 თანამშრომელზე (როგორც შტატთან ასევე შტატგარეშე დასაქმებულზე) მოპოვებულია საავადმყოფო ფურცელი ასანაზღაურებელი თანხით 10.9 ათასი ლარი (გამოთვლები ეყრდნობა თანამშრომლების საშუალო დღიურ ანაზღაურებასა და ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების რაოდენობას), რომელიც ცენტრის მიერ არ იქნა დაანგარიშებული, გამიჯნული თანამდებობრივი სარგოდან და გაცემული მუხლიდან

„დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“ რითაც დარღვეულია კლასიფიკაციის⁸ და ინსტრუქციის⁹ მოთხოვნები.

გავლენა: ბალანსის დანართ N2-ში ხარჯების მუხლები „შრომის ანაზღაურება“ და „საქონელი და მომსახურება“ წარმოდგენილია გაზრდილი თანხით შესაბამისად 1.9 ათასი ლარი და 9.5 ათასი ლარი და 10.9 ათასი ლარით შემცირებულია მუხლი „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, თავი IV - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, დანართი 2, ფორმა N2 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

აღრიცხვა-ანგარიშგება

1. კონსოლიდირებულ ბალანსზე ასახული მოთხოვნა-ვალდებულებების არსებითი ნაწილის (40%) მიხედვით არ არის გახორციელებული ინვენტარიზაცია, შესაბამისად არ არის შედგენილი შედარების აქტები.
2. სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ზოგიერთ სსიპ-ებში არ ხდება მიმწოდებელზე გადახდილი დღგ-ს პროპორციული წესით ჩათვლა¹⁰ და ჩასათვლელი დღგ-ს თანხა სრულად აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად.
3. სამინისტროს აპარატის და სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხრიდან ადგილი აქვს არაფინანსური აქტივების დაცულობაზე და მათი ექსპლუატაციის წესების დაცვაზე კონტროლის სისუსტეს. კერძოდ, შერჩეული მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიხედვით არ არსებობს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (მიღება-ჩაბარების აქტი) და შესაბამისი ხელშეკრულება. ინვენტარიზაციის ჩატარების დროს დარღვეულია ინვენტარიზაციის წესის¹¹ მოთხოვნები.
4. სულ აქტივები და მოთხოვნების ჯამი 2015 წლის დასაწყისში, 2014 წლის ბოლოს არსებულ ნაშთთან შედარებით (1,477,334.6 ათასი ლარი) შემცირებულია 15,070,943 ლარით, რაც გამოწვეულია ქვემოთ მოცემული ერთეულების აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის 2015 წელს ნაერთი კონსოლიდირებული ბალანსიდან:

სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემიის ბალანსის 15,342.8 ათასი ლარის ოდენობის ნაშთების მოხსნით (ბალანსი წარედგინება სხვა უწყებას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს);

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ბალანსის 729.7 ათასი ლარის ოდენობის ნაშთების მოხსნით (ბალანსი წარედგინება სხვა უწყებას - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს);

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სკოლების (15 სკოლის) ნაერთი ბალანსის 981.7 ათასი ლარის ოდენობის ნაშთების დამატებით.

5. საწყისი ნაშთები გაზრდილია სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსის ნაშთის ხარჯზე 4.3 ათასი ლარით და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსის ნაშთის ხარჯზე 15.6 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მიზნობრივი გრანტის 2015 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთების მატებით - წინა წლის აუთვისებელი მიზნობრივი გრანტის თანხების საწყის ნაშთში აღდგენით.

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605-ე ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-20 და 21-ე პუნქტები.

ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზები

6. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს¹² ადგილი აქვს წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობას და სიხშირეს: ორგანიზაციულ კოდექსსა და მუხლებს შორის განხორციელდა 164 ცვლილება ჯამური თანხით 126,386 ათასი ლარი; აღნიშნულიდან 19 ცვლილების საფუძველზე პროგრამებს შორის გადანაწილებულმა თანხამ 13,791 ათასი ლარი შეადგინა, რაც დამტკიცებული ასიგნებების 1,6%-ს შეადგენს.
7. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა; კერძოდ, ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად გადანაწილებული 13,791 ათასი ლარიდან 2,957 ათას ლარზე ადგილი ჰქონდა მოცემულ გარემოებას და საბოლოოდ პროგრამებს შორის ნეტო გადანაწილებამ შეადგინა 10,834 ათასი ლარი. მაგალითად: სამინისტროს (32 00) „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვის“ პროგრამიდან (32 01) „ზოგადი განათლების“ (32 02) პროგრამის „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაზე, 14 დეკემბრის N1748 ცვლილებით, მიმართულ იქნა 89 ათასი ლარი, თუმცა 25 დეკემბრის N1861 ცვლილებით უკვე 32 02 პროგრამიდან სამინისტროს აპარატის კომუნალური და მიმდინარე ხარჯების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით 32 01 პროგრამაზე იქნა გადატანილი 150 ათასი ლარი; სამინისტროს (32 00) „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამიდან“ (32 04) 2015 წლის 30 ივლისის N1050 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით „საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროგრამაზე (32 05) გადატანილ იქნა 1,990 ათასი ლარი. ხოლო, 18 დეკემბრის N1786 ცვლილებით უკვე „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამაზე“ (32 04) მოხდა სახსრების დაბრუნება 32 04 და 32 05 პროგრამებიდან, ჯამურად 875 ათასი ლარის ოდენობით;
8. ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/აქტივობების დასაფინანსებლად, რომლებიც შესაძლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე; მაგალითად: სამინისტროს (32 00) „სსიპ „შეფასებისა და განათლების ეროვნული ცენტრის“ პროგრამიდან (32 02) „სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროგრამაზე“ (32 04) 2015 წლის 24 აპრილის N522 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების მიხედვით, 86 ათასი ლარი გადატანილ იქნა ახალი საგნობრივი ჯგუფების შესაქმნელად, მასწავლებლების, აბიტურიენტებისა და გამოსაშვები გამოცდების ტესტების შექმნისა და თარგმნისათვის.
9. ზოგიერთი ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. მაგალითად:

¹² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31, პუნქტი 3: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს“

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	დამტკიცებული გეგმა (1)	დაზუსტებული გეგმა (2)	საკასო შესრულება (3)	(3)/(1) %	(3)/(2) %
32 02 02 02	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამები	14,129	11,738	11,102	78.6%	94.6%
32 02 04	წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება	940	743	669	71.2%	90.0%
32 02 06	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	12,300	5,748	5,643	45.9%	98.2%
32 02 09 01	ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	330	179	164	49.7%	91.6%

10. სარეზერვო ფონდის სახსრები მიიმართებოდა იმ გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებს და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მათი გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სისტემატური დაფინანსების მქონე პროექტებია: სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროექტი „უნივერსიტეტის მიერ უცხოელი პროფესორების აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება საქართველოში“, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „პოლიტიკა, კულტურა, რელიგია და თანამედროვე პარადიგმები“, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის“, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსება“, „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“ და „უნივერსიტეტის ნაშრომი ლათინური ტერმინოლოგიის გამოცემის მიზნით“; ხოლო, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სისტემატური დაფინანსების მქონე პროექტია: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება“. ასევე, სარეზერვო ფონდებიდან საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა ხდებოდა ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, თუმცა მათი მნიშვნელობიდან, მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მათი გათვალისწინება მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში. ამგვარი ხასიათის პროექტებია: სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „მიდა კახეთის ნიადაგური პრობლემის შესწავლა“, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „ახალქალაქის სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების ინტერნეტ უზრუნველყოფის მომსახურებისათვის“.

11. საანგარიშგებო წლის ბოლოს სამინისტროს დაქვემდებარებული რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი ჰქონდა წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) თანხების გაცემას ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად ან საქონლის/მომსახურების შესყიდვისათვის (ზოგჯერ

შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად), რომელთა აუცილებლობა საჯარო უწყების წინაშე იმ მომენტისათვის არ იდგა. შედეგად, ამ პროცესმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებაში. მაგალითად, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ 2015 წლის 21 დეკემბერს სახაზინო მუხლით 2.8.2.2 – „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“, პროგრამული კოდით 32 05 02 03 – „უმაღლესი და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება“ სამი საგადასახადო დავალებით ავანსად გადაურიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჯამში 3,208.4 ათასი ლარი. ამ პროგრამის ფარგლებში აღნიშნული თანხებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წლის ბოლომდე რაიმე ღონისძიება არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, 2016 წლის პირველი კვარტლის დასასრულს აღნიშნული თანხები გაუხარჯავად ირიცხებოდა კომერციული ბანკში დეპოზიტურ ანგარიშზე.

ხარჯები

12. ელექტრონული აუქციონის ან კონკურისის წესით სხვადასხვა პირთან გაფორმებული 25 ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ იჯარით გაცემული იქნა საწარმოო დანიშნულების შენობების ფართები საერთო ოდენობით 4408.00 კვ.მ. საიჯარო ხელშეკრულებებით არ არის დარეგულირებული კომუნალურ ხარჯების ანაზღაურების მექანიზმი. მოიჯარეების უმეტესობას გააჩნიათ ე.წ. ქვე-მრიცხველები რომელთა უმეტესობაც არის საბჭოთა პერიოდის წარმოების და არ არის დალუქული, ხოლო ზოგიერთი მოიჯარეების მიერ დაკავებულ ფართის მიხედვით არ არის წყლის მიწოდების ინდივიდუალური მრიცხველი და ხდება ინსტიტუტის მრიცხველზე მიერთებული წერტილით სარგებლობა.
13. სამინისტროს სსიპ-ების მხრიდან აღგილი აქვს ავტომანქანებზე არაგონივრული ოდენობის საწვავის ლიმიტების დამტკიცებას, რაც გამოიხატება წლის განმავლობაში გაწეული ფაქტობრივი ხარჯის ლიმიტებიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით. მაგალითად: სამინისტროს აპარატის ავტოპარკის საწვავის წლიური ლიმიტი 111,300 ლიტრის დონეზე განისაზღვრა, თუმცა წლის განმავლობაში ფაქტიურად გახარჯული საწვავის მოცულობამ 65,460, ლიტრი და დამტკიცებული ლიმიტის მხოლოდ 58.8% შეადგინა; სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მფლობელობაში არსებულ ავტომობილებზე საწვავის წლიური ლიმიტის სახით დამტკიცებულ იქნა 27,600 ლიტრი, რაც ასევე მოიცავდა მივლინებების ფარგლებში გასაწევი საწვავის ხარჯსაც. წლის განმავლობაში ათვისებული საწვავის მოცულობამ 11,687 ლიტრი ანუ დამტკიცებული ლიმიტის მხოლოდ 42.3% შეადგინა.

14. სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ებში პრემიები გაიცემოდა მხოლოდ უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე, შესაბამისი დასაბუთების გარეშე.
15. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დანამატების გაცემის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს მინისტრის ბრძანება. მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ნაწილში მოტივად მითითებულა „იმ საჯარო მოხელეთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა, რომელთაც რთული სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სისტემატურად უწევთ არანორმირებულ, რთულ სამუშაო პირობებში მუშაობა (დატვირთული სამუშაო გრაფიკი, დამაბული სამუშაო რეჟიმი, საპასუხისმგებლო ფუნქციური საქმიანობის განხორციელება) დამატებითი სამუშაო საათების გამოყენება. აგრეთვე, დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შენაჩუნება და მოზიდვა“. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის აუდიტორული მტკიცებულება. სამინისტროს აპარატში და კონტროლირებად ორგანიზაციებში უფლებამოსილი პირის მიერ წლის დასაწყისში გამოცემული ერთი ბრძანების საფუძველზე, ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტებს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს. ბრძანებაში მითითებულა, რომ დანამატის გაცემის წყაროა სახელფასო ფონდის წლის ბოლოსათვის მოსალოდნელი ეკონომია. აუდიტორთა შეფასებით, აღნიშნული მოვლენა მიზანშეწონილ პრაქტიკად ვერ ჩაითვალება.
16. სამინისტროს აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპებში შტატგარეშე თანამშრომლთა 50%-ზე მეტი დასაქმებულები არიან წლების განმავლობაში და ასრულებენ შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების ანალოგიურ საქმიანობას. შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად¹³. მოცემული სამართლებრივი შინაარსით ის გამოიყენება საჯარო სექტორში შრომითი ურთიერთობის სფეროში. აღნიშნული განსაზღვრება სრულ შესაბამისობაშია შრომით კანონმდებლობასთან, რომელიც მნიშვნელოვან ნაწილში არეგულირებს სსიპ-ში წარმოშობილ შრომით ურთიერთობებს. შტატგარეშე მოსამსახურის დეფინიციის სამართლებრივი ბუნება შრომითი ურთიერთობის ორი სპეციფიკური პირობის ერთდროულად არსებობაზე მიუთითებს: 1) შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი რომელიც გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში. ანუ ამ შემთხვევაში სამსახურში მიღების ვადა განსაზღვრულია და 2) სამსახურში მისი მიღების მიზანს წარმოადგენს არამუდმივი, განსაზღვრული დროის განმავლობაში კონკრეტული ამოცანის (სამუშაოს) შესრულება.

¹³ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 8.

17. 2015 წელს სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული აქვს 860 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება. მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე. როგორც წარმოდგენი დასკვნებიდან ირკვევა, მხოლოდ ორ შემთხვევაში, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 276.7 ათასი ლარი, განფასება განხორციელებულია ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ფორმა #2-ში დაფიქსირებული ერთეულის ფასების საფუძველზე. მოცემული ფაქტობრივი გარემოება შეუსაბამოა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის # 55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის“ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“ მოთხოვნასთან, რომლის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის დროს საამშენებლო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიური დანახარჯის მიხედვით. ფაქტიური დანახარჯები კი განისაზღვრება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, რომელიც განფასებულია ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. მიუხედავად აუდიტის ჯგუფის მიმართვისა, აუდიტის ობიექტის მიერ მიმწოდებლებისაგან არ იქნა გამოთხოვილი ფაქტიური დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათი განმარტებით „სააგენტო საბოლოო ანგარიშსწორებას მომწოდებელთან ახორციელებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა მიმწოდებლის მიერ ხდება საექსპერტო დაწესებულებაში, რომელთა საფუძველზეც მზადდება დასკვნა. აქედან გამომდინარე, სააგენტოს ეს დოკუმენტაცია არ გააჩნია“. აღნიშნული გარემოების გამო მომწოდებლებისაგან ფაქტიური დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა სააგენტომ მიიჩნია საფუძველს მოკლებულად.
18. 2015 წლის 21 ოქტომბერს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150028374) სპეციალური დანადგარების შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 3,437.86 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს ორიემმა და შპს კაპიტალ საინ ტრეიდმა. ამ უკანასკნელმა ვაჭრობის შედეგად საბოლოო ფასი დააფიქსირა 3,300.00 ათასი ლარი. თუმცა 6 ნოემბერს უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე მოტივით რომ მოლაპარაკების პროცესში საქონლის მწარმოებელ ორგანიზაციებთან ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს წააწყდნენ. შესაბამისად სატენდერო კომისიამ 2015 წლის 14 დეკემბერს ხელშეკრულება გაუფორმა მომდევნო დაბალი ფასის მქონდე პრეტენდენტს, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 3,372.00 ათასი ლარი. აღნიშნული შესყიდვა გარკვეული რისკებით ხასიათდება:
- პროექტის ინიციატორი იყო სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიერ დეტალურად გაანალიზდა თითოეული პროფესიული კოლეჯის შესაძლებლობა და შეიქმნა მათზე მორგებული (FABLAB) კონცეფცია. პროფესიული კოლეჯების ლაბორატორიების ფორმირებისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით 2015 წლის 9 ოქტომბერს ტექნოლოგიების სააგენტომ ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიაწოდა შესყიდვის პროცედურების განსახორციელებლად საჭირო ყველა დოკუმენტი (შესასყიდი საქონლის

სპეციფიკაციები/ტექნიკური დავალება, თითოეული კომპონენტის სავარაუდო ღირებულება, რამაც ჯამში შეადგინა 2,418.73 ათასი ლარი). ამის შემდეგ, ინფრასტრუქტურის სააგენტომ სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით განახორციელა ბაზრის კვლევის პროცედურა, რის შედეგადაც სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 3,437.85 ათასი ლარით, რაც 1,019.13 ლარით აღემატებოდა ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას.

- საქართველოს მთავრობამ 16 ოქტომბრის #2221 განკარგულების საფუძველზე დაადგინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (FABLAB) აღჭურვილობის შესყიდვის - შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობა და ინფრასტრუქტურის სააგენტო აღიჭურვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალების გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილებით. მთავრობის განკარგულებას წინ უძღვის სსიპ - 2015 წლის 12 ოქტომბრის წერილი, სადაც სააგენტოს ხელმძღვანელი განმარტავს, რომ - „მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის უმოკლეს ვადაში იქნას მოწოდებული შესაბამისი ლაბორატორიები, რათა სრულფასოვნად წარიმართოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ლაბორატორიული აღჭურვილობა შედგება არაერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტებისგან, ხოლო სახელმწიფო შესყიდვისათვის საჭირო ცალკეული პროცედურები დროის მხრივ მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს დაგეგმილი პროექტის ვადებს, ამასთან ლოჯისტიკური ეფექტურობის თვალსაზრისით შესყიდვა ტენდერის საშუალებით გაუმართლებელია, ვინაიდან ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა, მონტაჟი და ტესტირება უნდა განხორციელდეს პარალელურ რეჟიმში“. ფაქტობრივი გარემოებები საწინააღმდეგოზე მიუთითებენ კერძოდ: პროფესიული კოლეჯების უმრავლესობაში (9 ერთეული) სადაც უნდა განთავსებულიყო მოცემული ლაბორატორიები, საქონლის მიწოდების პერიოდისათვის მიმდინარეობდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, რომელთა დასრულების ვადები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მიწოდების ვადებს.




ცხრილი 8

	შემსრულებელი	თარიღი	ხელშეკრულების ნომერი	სამუშაოს დასრულების ვადა
საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“-ს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მრავალწლიანი 2015-2016 წელი) შესყიდვა	იერი	24.08.2015	N32050202/03/179	29.07.2016
ემისი სრული რეაბილიტაცია	პარმადი	11.11.2015	32050202/03/286	06.05.2016
თბილისის პროფესიული სასწავლებლის „სპექტრი“ შენობის ადაპტაცია- რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	შპს Engineering Services Company	17.09.2015	32050202/03/222	28.02.2017
ქ.ქუთაისის "კოლეჯი "იბერიას" სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	შპს კომპანიონი	09.11.2015	32050202/03/282	05.02.2016

მესტიის პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს სანტრილი	31.07.2015	162/03/149	18/10/2015. შესრულებულია სამუშაოს 55 % . არაჯეროვნად შესრულება
საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მრავალწლიანი 2015-2016 წელი) შესყიდვა	მტმ	24.08.2015	N32050202/03/180	05.03.2016
ახალციხის მუნიციპალიტეტს კოლეჯი ოპიზარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	სამშენებლო ტრესტი 3	05.11.2015	162/02/280	30.06.2016
ქალაქ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	შპს ზაზო	22.09.2015	162/03/225	19.06.2016
რუსთავის სსიპ პროფესიული სასწავლებელი „მოდუსი“-ს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	შპს სვინქსი	15.06.2015	32050202/03/220	08/02/2016 შეწყდა ხელშეკრულება

შესასყიდი საქონელი წარმოადგენდა მაღალი სტანდარტის ტექნიკური პარამეტრების მქონე რთული აგებულების დანადგარებსა და მოწყობილობებს, რომლის ნაწილიც საქართველოში არ იწარმოებოდა და საჭირო იყო მათი იმპორტი. სატენდერო განაცხადით სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2 დღე. მოცემულ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფილად მომზადების სირთულეზე მიუთითებს უმცირესი ფასის(3,300.00 ათასი ლარი) წარმომდგენი პრეტენდენტი, რომელმაც 2015 წლის 6 ნოემბერს უარი განაცხადა სატენდერო კომისიისთვის დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენაზე.

აუდიტორთა ხელმოწერა:

წამყვანი აუდიტორი		ნოდარი გაბედავა
აუდიტორი		თორნიკე მაგნიძე
აუდიტორი		ასმათი ლილუაშვილი
აუდიტორი		ნაია ხოფერია
აუდიტორი		ირაკლი დალაქიშვილი
აუდიტორ ასისტენტი		კახა კუპრავა
აუდიტორ ასისტენტი		ალექსანდრე ასათიანი
აუდიტორ ასისტენტი		ნინო გოზალიშვილი
აუდიტორ ასისტენტი		ილია ლომაური
აუდიტორ ასისტენტი		მარიამ რობაქიძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1				
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)				
	დასახელება	ანგარიში	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2014 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	133 993 674,00	130 436 808,00
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	35 905 425,00	34 167 527,00
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	92 713 236,00	78 030 413,00
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	16 053 282,00	15 335 224,00
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		278 665 617,00	257 969 972,00
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	7 510 798,00	9 768 593,00
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	11 290 678,00	19 407 028,00
120	ძირითადი აქტივები	2100	899 536 533,00	835 218 222,00
130	ფასეულობები	2300	745 810,00	1 778 650,00
140	არაწარმოებული აქტივები	2400	343 989 779,00	338 121 202,00
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		1 263 073 598,00	1 204 293 695,00
160	ბალანსი		1 541 739 215,00	1 462 263 667,00
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	3 365,00	62 005,00
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	54 331 327,00	43 518 239,00
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		54 334 692,00	43 580 244,00
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	215 984,00	215 984,00
230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		215 984,00	215 984,00
240	სულ ვალდებულებები		54 550 676,00	43 796 228,00
250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1 280 100 361,00	1 240 328 689,00
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	207 088 178,00	178 138 750,00
280	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290	სულ კაპიტალი		1 487 188 539,00	1 418 467 439,00
300	ბალანსი		1 541 739 215,00	1 462 263 667,00
ორგანიზაციის ხელმძღვანელი: მთავარი ბუღალტერი: ბ.ა.		თარიღი: თარიღი:		

ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში					
დასახელება		2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2014 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	827 021 333,21		827 021 333,21	741 112 675,00
020	შემოსავლები (030+040+050+060)	84 825 699,93	727 846 576,21	812 672 276,14	291 967 785,00
030	გადასახადები	-	-	-	-
040	სოციალური შენატანები	-	-	-	-
050	გრანტები	82 744 590,84	17 951 801,83	100 696 392,67	19 368 628,00
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	2 081 109,09	709 894 774,38	711 975 883,47	272 599 157,00
070	ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	7 084,00	9 818 391,00	9 825 475,00	4 244 344,00
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	675 709 937,96	675 709 937,96	214 127 959,00
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	121 155,52	248 852,00	370 007,52	926 443,00
100	დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	1 731 216,09	12 971 979,00	14 703 195,09	42 469 180,00
110	ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	221 653,48	11 145 614,42	11 367 267,90	10 831 231,00
120	სულ (010+020)	911 847 033,14	727 846 576,21	1 639 693 609,35	1 033 080 460,00
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	26 107 194,00	485 160 959,36	511 268 153,36	133 735 677,00
150	საქონელი და მომსახურება	68 607 110,62	177 310 234,00	245 917 344,62	144 327 505,00
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23 804 253,00	8 923 132,00	32 727 385,00	29 481 984,00
170	პროცენტი	-	23,00	23,00	-
180	სუბსიდიები	37 345 729,00	-	37 345 729,00	34 211 527,00
190	გრანტები	109 239 402,00	518 758,00	109 758 160,00	3 602 820,00
200	სოციალური უზრუნველყოფა	2 648 300,00	1 827 009,00	4 475 309,00	2 900 910,00
210	სხვა ხარჯები	607 014 232,00	13 849 154,85	620 863 386,85	548 265 132,00
220	რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	576 555,00	576 555,00	-
230	სულ (140+150+160+170+180+190+200+210+220)	874 766 220,62	688 165 825,21	1 562 932 045,83	896 525 555,00
240	ფინანსური შედეგი (120-230)	37 080 812,52	39 680 751,00	76 761 563,52	136 554 905,00
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:		თარიღი:			
მთავარი ბუღალტერი:		თარიღი:			
ბ.ა.					

ფორმა N3					
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში					
დასახელება		ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	39 771 672,00	28 949 428,00	-	68 721 100,00
020	კორექტირებები: ¹	9 876 580,00	11 669 961,00	-	21 546 541,00
030	ცვლათ (+)	23 804 253,00	8 923 132,00	-	32 727 385,00
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(17 331 466,00)	(598 798,00)	-	(17 930 264,00)
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	1 986 961,00	(2 705 019,00)	-	(718 058,00)
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	8 783 094,00	(666 744,00)	-	8 116 350,00
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(9 661 874,00)	(1 677 335,00)	-	(11 339 209,00)
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	2 295 612,00	8 394 725,00	-	10 690 337,00
090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	49 648 252,00	40 619 389,00	-	90 267 641,00
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები	-	-	-	-
130	სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
140	ფასეულობები	-	-	-	-
150	არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	48 178 728,07	38 657 204,78	-	86 835 932,85
170	ძირითადი აქტივები	48 177 682,57	38 639 819,78	-	86 817 502,35
180	სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
190	ფასეულობები	-	-	-	-
200	არაწარმოებული აქტივები	1 045,50	17 385,00	-	18 430,50
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(48 178 728,07)	(38 657 204,78)	-	(86 835 932,85)
220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	183 798,00	-	-	183 798,00
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(58 640,00)	-	-	(58 640,00)
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	125 158,00	-	-	125 158,00
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	1 594 681,93	1 962 184,22	-	3 556 866,15
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	4 011 012,00	126 425 796,00	-	130 436 808,00
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	3 368 545,00	130 625 129,00	-	133 993 674,00
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-
¹ 020=030+040+050+060+070+080 ² აქტივების (გაზრდა მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, მიღებულ და გასულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა, მიღების მეტობის შემთხვევაში აკლდება საანგარიშო პერიოდის წმინდა ღირებულება/მოგება -ზარალს, ხოლო ნაკლებობის დროს ემატება ³ 090=010+030+040+050+060+070+080 ⁴ 210=110-160 ⁵ 250=230+240 ⁶ 260=090+210+250 ორგანიზაციის ხელმძღვანელი: მთავარი ბუღალტერი: ბ.ა.					
			თარიღი:		
			თარიღი:		

ფორმა N4

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1 240 328 689,00	178 138 750,00	1 418 467 439,00
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	13 944 855,00	3 681 894,37	17 626 749,37
030	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	122 351,00	3 472 673,37	3 595 024,37
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	13 822 504,00	209 221,00	14 031 725,00
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	5 654 230,00	10 189 861,00	15 844 091,00
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	9 305,00	64 001,00	73 306,00
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5 644 925,00	10 125 860,00	15 770 785,00
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	5 599 764,26	4 223 357,00	9 823 121,26
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	5 599 764,26	649 286,00	6 249 050,26
100	მოგების გადასახადი	-	3 574 071,00	3 574 071,00
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	37 080 812,52	39 680 751,00	76 761 563,52
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	1 280 100 362,26	207 088 177,37	1 487 188 539,63
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:		1 280 100 361,00	207 088 178,00	
მთავარი ბუღალტერი:			თარიღი:	
ბ.ა.			თარიღი:	

ფორმა N5								
ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში								
დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	744 110 000,00	787 495 802,20	5,83%	778 627 230,64	-1,13%	874 766 220,62	96 138 989,98
020	მათ შორის:							
030	შრომის ანაზღაურება	25 598 200,00	26 268 378,00	2,62%	26 107 691,92	-0,61%	26 107 194,00	(497,92)
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	54 790 000,00	50 874 832,37	-7,15%	48 178 727,62	-5,30%	-	(48 178 727,62)
050	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	0,00%	-	0,00%	-	-
060	ვალდებულებების კლება	-	160 366,00	0,00%	215 375,38	34,30%	-	(215 375,38)
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:				თარიღი:				
მთავარი ბუღალტერი:				თარიღი:				
ბ.ა.								

ინფორმაცია
ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კოდი 32 00

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2015 წლის 31 დეკემბრის თვის

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს 01.01.2016	ნაშთი წლის დასაწყისისთვის 01.01.2015
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110	7 389	2 799
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120	-	-
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	52 301 605	82 162 580
040	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	14 594 577	23 350 683
050	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	1230	17 710 479	14 553 599
060	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	2 985 343	3 711 672
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	-	-
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	4 063 293	73 333
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	-	-
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	3 164 608	546 402
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	39 166 380	6 035 740
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	-	-
130	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321	183 828	206 626
140	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322	-	-
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	514 181	514 181
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	-	-
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	-	-
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	-	-
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	-	-
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	1 761 556	1 714 393
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	31 897 908	28 789 047
220	გადახდილი დღგ	1356	374 355	1 600 416
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	794 189	685 775
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	367 370	657 089
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359	12 038	-
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	-	-
270	მოთხოვნები ბარტერით	1410	-	-
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	2 951 002	1 962 427
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	55 105 813	45 183 100
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	8 764 424	5 756 909
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	1 118 723	1 261 442
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451	2 700 051	1 236 790
330	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები სხვა თანხებით	1452	37 184	49 642
340	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	25 845	42 865
350	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	75 222	190 378
360	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	49 014	11 273
370	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	36 449	20 318
380	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	21 849 509	22 315 269
390	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	204 604	365 604
400	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512	-	-
410	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	-	-
420	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	-	-

430	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	7 306 194	9 402 989
	სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები:		270 123 133	252 403 341
II. არაფინანსური აქტივები				
440	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
450	ნედლეული და მასალები	1621	3 065 047	1 909 272
460	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622	84 944	51 000
470	მზა პროდუქცია	1623	3 682 489	3 080 673
480	შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	1624	136 381	103 367
490	ფულადი დოკუმენტები	1625	425 158	389 006
500	სათადარიგო ნაწილები	1626	310 904	270 583
510	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	8 348 359	9 531 323
520	საცხოვრებელი შენობები	2111	6 820 526	6 130 634
530	არასაცხოვრებელი შენობები	2112	658 125 509	597 947 663
540	საგზაო მაგისტრალები	2113	-	-
550	ქუჩები	2114	-	-
560	გზები	2115	71 551	86 493
570	ხიდები	2116	-	-
580	გვირაბები	2117	395 730	400 031
590	გაყვანილობის სისტემები	2118	601 069	553 583
600	სხვა ნაგებობები	2119	12 679 855	11 095 334
610	სატრანსპორტო საშუალებები	2121	5 006 829	5 431 248
620	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	170 253 848	157 320 991
630	კულტივირებული აქტივები	2131	571 320	520 191
640	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	7 002 364	6 747 486
650	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	38 007 932	48 984 568
660	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142	-	-
670	ტექნიკა	2210	896 956	921 920
680	ინვენტარი	2220	2 805 968	2 293 431
690	მოწყობილობა	2230	424 201	404 099
700	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	7 163 553	15 787 578
710	მვირფასი ქვები და ლითონები	2310	664 016	1 696 856
720	ხელოვნების ნიმუშები	2320	72 446	72 446
730	სხვა ფასეულობები	2330	9 348	9 348
740	მიწა	2410	343 989 779	338 118 123
750	წიაღისეული	2420	-	-
760	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430	-	-
770	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440	-	3 079
	სულ არაფინანსური აქტივები:		1 271 616 082	1 209 860 326
	სულ აქტივები და მოთხოვნები:		1 541 739 215	1 462 263 667
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
III. ვალდებულებები				
780	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	3 365	62 005
790	ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა	3120	-	-
800	მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3131	-	-
810	მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3132	-	-
820	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	3140	-	-
830	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3150	-	-
840	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	1 576 430	950 364
850	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	904 628	781 877
860	ვალდებულებები ბარტერით	3230	-	-
870	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	3 150 009	1 744 651
880	გადასახდელი დღგ	3242	105 832	100 710
890	გადასახდელი სამშენოსავლო გადასახადი	3243	215 911	263 691
900	სხვა გადასახდელები	3244	775 447	178 996
910	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245	17 620 178	21 767 402
920	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	790 046	278 246
930	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	554 515	507 693
940	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	12 187	12 377

950	ვალდებულებები მივიღინებთ ქვეყნის გარეთ	3254	20 764	18 735
960	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255	1 801	5 650
970	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256	-	-
980	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	2 751	3 885
990	გადასახდელი სტიპენდიები	3258	12 431	8 755
1000	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259	-	-
1010	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	61 971	96 085
1020	ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3271	9 257	-
1030	სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3272	-	-
1040	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281	45 733	3 602
1050	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	27 418 839	16 683 177
1060	დარიცხული გადასახდელი რენტა	3283	-	-
1070	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284	-	-
1080	გადასახდელი დივიდენდები	3285	-	-
1090	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	1 052 597	112 343
1100	გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311	-	-
1110	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312	-	-
1120	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	215 984	215 984
1130	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	-	-
1140	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიან კრედიტორული დავალიანებები	3332	-	-
1150	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	-	-
	სულ ვალდებულებები		54 550 676	43 796 228
1160	წმინდა ღირებულება	5100	1 280 100 361	1 240 328 689
1170	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	-	-
1180	გაუნაწილებელი მოგება	5220	207 088 178	178 138 750
1190	დაუფარავი ზარალი*	5230	-	-
	სულ კაპიტალი:		1 487 188 539	1 418 467 439
	სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		1 541 739 215	1 462 263 667
საცნობარო მუხლები				
1200	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01	1 325 738	1 325 738
1210	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	2 600 645	2 993 838
1220	გადახდისუენარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	200 170	196 900
1230	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	17 015 709	16 678 439
1240	პირობითი მოთხოვნები	05	-	-
1250	პირობითი ვალდებულებები	06	-	-
1260	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	168 179	-
1270	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	50 112 135	40 599 767
1280	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	54 550 676	43 796 228
1290	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	118 031 071	115 127 776
1300	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	47 018	47 386
ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____ თარიღი: _____ მთავარი ბუღალტერი: _____ თარიღი: _____ ბ.ა * ანგარიში ნულოვანი ნაშთით ინფორმაციაში არ აისახება				

ორგანიზაციის ანგარიშში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კოდი 32 00

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური -----

2015 წლის 31 დეკემბრის თვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით		საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო		ფაქტობრივი	
			ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
010	1. შემოსავლები	1	798 900 000	233 245 000	-	-			3 134 123	719 726 797	81 840 356	727 846 576
020	1.1 გადასახადები	11	-	-	-	-			-	-	-	-
030	1.2 გრანტები	13	-	14 895 000	-	-			2 985 344	19 494 143	79 759 247	17 951 802
040	1.3 სხვა შემოსავლები	14	798 900 000	218 350 000	-	-			148 779	700 232 654	2 081 109	709 894 774
050	1.3.1 შემოსავლები საკუთრებიდან	141	-	-	-	-			-	9 561 371	7 084	9 818 391
060	1.3.2 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	-	-	-	-			-	670 795 022	-	675 709 938
070	1.3.3 სანქციები, ჯარიმები, საურავები	143	-	-	-	-			2 657	83 924	121 156	248 852
080	1.3.4 ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	144	-	-	-	-			146 122	12 897 285	1 731 216	12 971 979
090	1.3.5 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	-	-	-	-			-	6 895 053	221 653	11 145 614
100	2. ხარჯები	2	744 110 000	227 085 000	787 495 802	274 145 092	781 021 491	245 386 252	778 627 231	680 811 694	874 766 221	688 165 825
110	2.1 შრომის ანაზღაურება	21	25 598 200	115 799 000	26 268 378	131 702 030	26 249 487	123 831 622	26 107 692	484 703 571	26 107 194	485 160 959
120	2.1.1 ხელფასები	211	25 598 200	115 799 000	26 268 378	131 702 030	26 249 487	123 831 622	26 107 692	484 703 571	26 107 194	485 160 959
130	2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	-	-	15 168 537	535 160	26 249 487	123 831 622	26 107 692	484 703 571	26 107 194	485 160 959
140	2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	-	-	-	-	20 178 817	109 139 194	20 148 502	461 387 991	20 153 745	461 853 638
150	2.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	-	-	-	-	2 481 170	272 787	2 481 170	225 800	2 481 170	225 800
160	2.1.1.1.3 პრემია	21113	-	-	-	-	3 046 958	11 598 924	2 935 619	16 740 565	2 929 880	16 732 136
170	2.1.1.1.4 დანამატი	21114	-	-	-	-	524 451	2 812 734	524 310	6 334 848	524 309	6 335 018
180	2.1.1.1.5 ჰონორარი	21115	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
100	2.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	-	-	-	-	18 090	7 983	18 090	14 367	18 090	14 367
110	2.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
120	2.1.2 სოციალური შენატანები	212	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
130	2.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
140	2.1.2.2. პირობითად განხორციელებული		-	-	-	-	-	-	-	-	-	-

	სოციალური შენატანები	2122										
150	2.2 საქონელი და მომსახურება	22	82 290 500	101 863 000	61 804 524	126 690 244	62 063 318	109 505 834	61 292 855	180 631 326	68 607 111	177 310 234
160	2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	-	-	-	-	26 598 674	70 414 323	26 032 020	93 210 924	26 037 111	93 247 119
170	2.2.2 მივლინებები	222	-	-	-	-	1 711 992	3 532 948	1 615 701	3 538 444	1 538 967	3 701 084
180	2.2.3 ოფისის ხარჯები	223	-	-	-	-	8 378 629	18 946 290	8 337 561	57 529 026	16 372 724	55 314 400
190	2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	-	-	-	-	409 243	1 940 946	407 579	1 995 659	376 066	1 932 160
200	2.2.5 კვების ხარჯები	225	-	-	-	-	393 823	40 317	391 498	70 797	400 956	67 536
210	2.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	-	-	-	-	44 126	4 228 970	44 126	3 670 284	43 614	2 778 989
220	2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	-	-	-	-	218 587	644 719	218 385	688 698	307 734	411 398
230	2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	-	-	-	-	18 097 633	1 238 743	18 051 385	1 452 745	16 664 610	1 409 255
240	2.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
250	2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	-	-	-	-	6 210 611	8 518 578	6 194 601	18 474 750	6 865 329	18 448 293
260	2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23	-	-	-	-	-	-	-	-	23 804 253	8 923 132
